

<p style="text-align: center;">ნასყიდობის ხელშეკრულება № []</p> <p>ქ. თბილისი []-[]-[] 202[] წ.</p> <p>ერთი მხრივ შპს „ლუკოილ-ჯორჯია“, შემდგომში წოდებული როგორც „დამკვეთი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის, მიხაილ ჯუროვიჩის სახით, რომელიც მოქმედებს წესდების საფუძველზე</p> <p>და [] შემდგომში წოდებული „შემსრულებელი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის [] სახით, წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია დამკვეთის სატენდერო დოკუმენტაციისა და შემსრულებლის სატენდერო შეთავაზების პირობებით, მეორე მხრივ</p> <p>ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები“, დადეს წინამდებარე მიწოდების ხელშეკრულება (შემდგომში - მიწოდების ხელშეკრულება) შემდეგზე, და ამავდროულად, მხარეები აღიარებენ, რომ თუ ხელშეკრულების შესრულებისას გამოვლინდება, რომ შემსრულებლის სატენდერო შეთავაზება რაიმე მიზეზით არ შეესაბამება დამკვეთის სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, მაშინ წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებისათვის განსაზღვრული (პრიორიტეტული) პირობები იქნება დამკვეთის სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნები:</p>	<p style="text-align: center;">Договор купли-продажи № []</p> <p>г. Тбилиси []-[]-[] 202[] г.</p> <p>ООО “ЛУКОЙЛ-Джорджия”, именуемое в дальнейшем “Заказчик”, представленное в лице Директора Михайло Джуровича, действующего на основании Устава, с одной стороны,</p> <p>И [] далее именуемое «Исполнитель», представленное в лице его Директора [], настоящий договор заключен на условиях тендерной документации Заказчика и тендерного предложения Исполнителя, с другой стороны</p> <p>Совместно именуемые как “Стороны”, заключили настоящий договор поставки (далее – договор поставки) о следующем, и при этом Стороны признают, что если в ходе исполнения договора будет выявлено, что по каким-либо причинам в тендерном предложении Исполнителя имеются несоответствия требованиям тендерной документации Заказчика, то определяющими (приоритетными) условиями исполнения настоящего договора являются требования тендерной документации Заказчика:</p>
<p style="text-align: center;">1. ხელშეკრულების საგანი</p> <p>1.1. წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად, შემსრულებელი ვალდებულია უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების 1.2. პუნქტის შესაბამისად მომსახურების გაწევა, ხოლო დამკვეთი კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს აღნიშნული მომსახურების ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.</p> <p>1.2. შემსრულებელი წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ვალდებულია გასწიოს შემდეგი სახის მომსახურება დამკვეთის აგს-ებზე საქონლის რეალიზაციისათვის შენობის შეკეთებისთვის:</p> <ul style="list-style-type: none"> - ლოტი N1 - ბენზინგასამართი სადგური N2 ქ.თბილისის, აღმაშენებლის ხეივანი, N228; - ლოტი N2 - ბენზინგასამართი სადგური N3 ქ.თბილისის მისამართზე, მარცხენა სანაპირო, დიდუბის სექტორი; - ლოტი N3 - ბენზინგასამართი სადგური N5 თბილისის მისამართზე, კახეთის გზატკეცილი, ფონიჭალის ხიდის მარცხენა მხარეს; - ლოტი N4 - ბენზინგასამართი სადგური N15 ქ.თბილისის მისამართზე, კახეთის გზატკეცილი, II გაჩერება; - ლოტი N5 - ბენზინგასამართი სადგური N19 ქ.თბილისის, აღმაშენებლის ხეივანი, N169 მისამართზე. <p>1.3. სამუშაოს დაწყებამდე შემსრულებელმა უნდა შექმნას სარეკონსტრუქციო დოკუმენტაცია დასრულების სამუშაოების ობიექტისთვის. ნებადართულია ასევე ქვეკონტრაქტორი.</p> <p>1.4. შემსრულებელმა პროექტი უნდა შეუთანხმოს შპს „ლუკოილ-ჯორჯია“-ს.</p> <p>1.5. შემსრულებელმა სამუშაო უნდა შეასრულოს „ლუკოილ“-ს ბენზინგასამართი სადგურების კორპორატიული მოთხოვნებისა და წესების რეკომენდაციების შესაბამისად. შემსრულებელი ადასტურებს, რომ მან მიიღო აღნიშნული დოკუმენტის ელექტრონული ვერსია:</p> <p>1.5.1. შემსრულებელმა უნდა შეასრულოს დემონტაჟის სამუშაოები მიღებული საგემო გადაწყვეტილებების შესაბამისად (კედლები, ფილები, სანტექნიკა, განათების მოწყობილობები);</p> <p>1.5.2. შემსრულებელმა უნდა შეასრულოს ელექტროსამონტაჟო სამუშაოები;</p> <p>1.5.3. შემსრულებელმა უნდა შეასრულოს სველი წერტილების მოწყობა;</p> <p>1.5.4. შემსრულებელმა უნდა შეასრულოს ზედაპირების დასრულება ფილებით;</p>	<p style="text-align: center;">1. Предмет договора</p> <p>1.1. По настоящему договору Исполнитель обязан выполнить свои обязанности в соответствии с пунктом 1.2. данного договора, а Заказчик обязуется оплачивать эти услуги в порядке, предусмотренном настоящим Договором.</p> <p>1.2. На основании данного договора Исполнитель обязан осуществить отделку помещений для реализации НТУ на АЗС Заказчика:</p> <ul style="list-style-type: none"> - Лот № 1 – АЗС №2 по адресу г. Тбилиси, Аллея Агмашенебели, №228; - Лот № 2 – АЗС №3 по адресу г. Тбилиси, Левая Набережная сектор Дидубе; - Лот № 3 – АЗС №5 по адресу г. Тбилиси, Кахетинское шоссе, у левой стороны Фоницальского моста; - Лот № 4 – АЗС №15 по адресу г. Тбилиси, Кахетинское шоссе, II остановка; - Лот № 5 – АЗС №19 по адресу г. Тбилиси, Аллея Агмашенебели, №169. <p>1.3. Перед началом проведения работ Исполнителю следует создать проектную документацию на объект проведения отделочных работ. Допускается привлечение субподрядной организации.</p> <p>1.4. Проектное решение должно быть согласовано с ООО «ЛУКОЙЛ – Джорджия».</p> <p>1.5. Работы должны быть произведены в соответствии с рекомендациями, изложенными в Корпоративных требованиях и правилах для АЗС организаций группы «ЛУКОЙЛ». Исполнитель подтверждает, что получил электронную версию упомянутого документа.</p> <p>1.5.1. Демонтажные работы в соответствии с полученными планировочными решениями (стены, кафельная плитка, сантехника, осветительные приборы):</p> <p>1.5.2. Электромонтажные работы;</p> <p>1.5.3. Работы по обустройству санузлов;</p> <p>1.5.4. Отделка поверхностей кафельной плиткой;</p> <p>1.5.5. Работы по сооружению потолочного покрытия - гриллато;</p> <p>1.5.6. Покрасочные работы;</p> <p>1.5.7. Установка межкомнатных дверей;</p>

<p>1.5.5. შემსრულებელმა უნდა შეასრულოს სამუშაოები ჭერის საფარის კონსტრუქცია - გრილატო;</p> <p>1.5.6. შემსრულებელმა უნდა შეასრულოს სამხატვრო სამუშაოები;</p> <p>1.5.7. შემსრულებელმა უნდა შეასრულოს შიდა კარების მონტაჟი;</p> <p>1.6. ყველა სამუშაო უნდა შესრულდეს შემსრულებლის მასალებისა და ძალის გამოყენებით.</p> <p>1.7. შემსრულებელმა უნდა წარუდგინოს დამკვეთს 1 წლიანი გარანტია შესრულებულ სამუშაოზე მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის დღიდან.</p>	<p>1.6. Все работы должны быть выполнены с использованием материалов и рабочей силы Исполнителя.</p> <p>1.7. Гарантия на выполненные работы – 1 год с момента подписания акта приема-передачи.</p>
<p align="center">2. მხარეთა უფლება და ვალდებულებები</p> <p>2.1. შემსრულებელი ვალდებულია:</p> <p>2.1.1. მომსახურება გასწიოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად სრულყოფილად და ხარისხიანად;</p> <p>2.1.2. დამკვეთის მოთხოვნის შემთხვევაში წარმოუდგინოს მას უტყუარი ინფორმაცია მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესრულებების შესახებ, დამკვეთის მოთხოვნიდან 1 (ერთი) სამუშაო დღის განმავლობაში მას მერე, რაც შემსრულებელი ზეპირი ან წერილობითი ფორმით მიიღებს მოთხოვნას ამის შესახებ;</p> <p>2.1.3. მომსახურების გაწევის შემდეგ გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი გაწეული მომსახურების შესახებ;</p> <p>2.1.4. გაუფრთხილდეს დამკვეთის საწარმოო საშუალებებს;</p> <p>2.1.5. მკაცრად დაიცავს დამკვეთის საიდუმლოება და არ გააცნოს გარეშე პირებს ის კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესრულების დროს;</p> <p>2.1.6. გაუფრთხილდეს დამკვეთის პრესტიჟსა და ავტორიტეტს;</p> <p>2.1.7. საპატიო მიზეზით წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, შემსრულებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს დამკვეთს აღნიშნულის თაობაზე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან განთავისუფლების საპატიო გარემოებების დადგომიდან 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში</p> <p>2.2. დამკვეთი ვალდებულია:</p> <p>2.2.1. გადაუხადოს შემსრულებელს გაწეული მომსახურების ღირებულება, რომლის ოდენობაც განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით.</p>	<p align="center">2. Права и обязанности сторон</p> <p>2.1. Исполнитель обязан:</p> <p>2.1.1. предоставлять услуги в соответствии с условиями данного Договора надлежащим образом и качественно;</p> <p>2.1.2. по требованию Заказчика предоставлять ему полную и достоверную информацию о ходе выполнения Исполнителем настоящего Договора в течение 1 (одного) рабочего дня с даты получения устного или письменного запроса Заказчика;</p> <p>2.1.3. после предоставления услуг оформить акт приема-передачи выполненных услуг;</p> <p>2.1.4. бережно относиться к имуществу Заказчика;</p> <p>2.1.5. соблюдать коммерческую тайну, не разглашать информацию, полученную в ходе выполнения работ/оказания услуг.</p> <p>2.1.6. Обеспечить защиту деловой репутации Заказчика;</p> <p>2.1.7. В случае невозможности выполнения обязательств по настоящему договору по уважительной причине, Исполнитель обязан незамедлительно уведомить об этом Заказчика в течении одного рабочего дня с момента наступления уважительных обстоятельств освобождения от обязательств по данному договору.</p> <p>2.2. Заказчик обязан:</p> <p>2.2.1. оплатить Исполнителю стоимость оказанных услуг, стоимость которых определяется данным договором.</p>
<p align="center">3. მომსახურების ღირებულება და ანგარიშწორების წესი</p> <p>3.1. მომსახურებისა და შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში, რომელიც უნდა გადაუხადოს დამკვეთმა შემსრულებელს, შეადგენს ----- ლარს დღგ-ს ჩათვლით.</p> <p>3.2. ანგარიშწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერიდან 30-ე კალენდარული დღის შემდეგ ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშწორების წესით, შემსრულებლის ანგარიშზე, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში, თანხის ჩარიცხვის გზით.</p> <p>3.3. შემსრულებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების არ შესრულების შემთხვევაში, დამკვეთს უფლება აქვს დააყოვნოს შესრულებული მომსახურების თანხის გადარიცხვა იმ დღეების ოდენობის პროპორციულად, რამდენითაც დაგვიანდება მომსახურების შესრულება დამკვეთისათვის. ასეთ შემთხვევაში დამკვეთს არ ეკისრება არანაირი პასუხისმგებლობა.</p> <p>3.4. შემსრულებელი იღებს ვალდებულებას დაასრულოს სამუშაოები წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან 45 კალენდარული დღის ვადაში. შემსრულებელს შესასრულებელი სამუშაოების დაწყებისთვის მოსამზადებლად მიეცემა 5 კალენდარული დღე წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან. სამუშაოს დაწყების ფაქტიურ დღედ ითვლება „_“ მარტი 2022 წელი.</p>	<p align="center">3. Стоимость услуг и порядок оплаты</p> <p>3.1. Стоимость указания услуг и выполнения работ в рамках настоящего Договора составляет _____ с НДС.</p> <p>3.2. Оплата осуществляется в национальной валюте путем перечисления денежных средств на банковский счет Исполнителя, который указывается в данном договоре на 30 календарных дней после подписания акта приема-передачи и выставления налогового счета-фактуры.</p> <p>3.3. В случае невыполнения Исполнителем взятых на себя обязательств, Заказчик имеет право задержать оплату за выполненные услуги пропорционально количеству дней, на протяжении которых услуга не будет предоставлена Заказчику, в этом случае Заказчик не несет никакой ответственности.</p> <p>3.4. Исполнитель обязуется завершить работы в течении 45 календарных дней с даты подписания настоящего Договора. Для осуществления подготовки к выполнению работ, Исполнителю предоставляется 5 календарных дней с даты подписания настоящего Договора. Фактическим временем начала выполнения работ считать «_» января 2022 года.</p>
<p align="center">4. მხარეთა პასუხისმგებლობა</p> <p>4.1. მხარეები პასუხისმგებელნი არიან წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არასათანადო შესრულებისთვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.</p>	<p align="center">4. Ответственность сторон</p> <p>4.1. В случае невыполнения или ненадлежащего выполнения обязательств по настоящему договору стороны несут ответственность в соответствии с действующим законодательством.</p>

<p>4.2. შემსრულებლის მხრიდან, სამუშაოების შესასრულებლად განსაზღვრული ვადის დარღვევის შემთხვევაში, შემსრულებელი ვალდებულია დამკვეთს გადაუხადოს პირგასამტეხლო წინამდებარე ხელშეკრულების 3.1. პუნქტში განსაზღვრული თანხის 0.05 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.</p>	<p>4.2. В случае нарушения сроки со стороны Исполнителя для выполнения услуг, Исполнитель обязан заплатить Заказчику неустойку в размере 0,05 % от стоимости суммы, указанной в пункте 3.1. настоящего договора за каждый день просрочки.</p>
<p>5. ხელშეკრულების მოშლა</p> <p>5.1. წინამდებარე ხელშეკრულების მოშლა შესაძლებელია, მხარეთა შეთანხმებით.</p> <p>5.2. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, რის შესახებაც ხელშეკრულების შემწყვეტი მხარე ვალდებულია 1 (ერთი) თვით ადრე წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შეწყვეტის განზრახვის შესახებ.</p>	<p>5. Расторжение Договора</p> <p>5.1. Настоящий договор может быть расторгнут по соглашению сторон.</p> <p>5.2. Данный договор может быть расторгнут по инициативе одной из сторон и Сторона, которая расторгает договор обязан в письменной форме уведомит второй стороне о расторжении данного договора за 1 (один) месяц до такого намерения.</p>
<p>6. დაგების მოგვარების წესი</p> <p>6.1. ნებისმიერი დავა ან უთანხმოება, რომელიც წარმოიქმნა და უკავშირდება წინამდებარე ხელშეკრულებას, მხარეები დაარეგულირებენ მოლაპარაკების გზით.</p> <p>6.2. თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, დავა წყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.</p>	<p>6. Порядок урегулирования споров</p> <p>6.1. Все споры и разногласия, возникающие из настоящего договора и в связи с ним, стороны урегулируют путем переговоров.</p> <p>6.2. Если стороны не могут прийти к согласию, спор решается в соответствии с действующим законодательством Грузии.</p>
<p>7. ინფორმაციის გაცემა და შეტყობინებები</p> <p>7.1. მხარეები თანხმდებიან, რომ მათ შორის კომუნიკაცია ხდება წერილობითი, ზეპირი, ელ.ფოსტის ან სხვა ტექნიკური საშუალების მეშვეობით.</p> <p>7.2. მხარეები ვალდებული არიან ერთმანეთს დაუყონებლივ აცნობონ ხელშეკრულებაში მოცემული რომელიმე რეკვიზიტის ცვლილების შესახებ. შეუტყობინებლობის შემთხვევაში ნებისმიერი ინფორმაცია ითვლება მოქმედად და მასზე გაგზავნილი ინფორმაცია მხარისთვის ჩაბარებულია.</p> <p>7.3. მხარეები თანხმდებიან, საკონტაქტო პირებისთვის მითითებულ ელ. ფოსტაზე ან/და მხარეთა ოფიციალურ ელ. ფოსტაზე გაგზავნილი შეტყობინება ითვლება იურიდიული ძალის მქონედ, მეორე მხარის მიერ მისი მიღების დადასტურების შემთხვევაში. იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე შეტყობინების გაგზავნიდან 1 სამუშაო დღის ვადაში არ დაადასტურა შეტყობინების მიღება, შეტყობინება ჩაითვლება მხარის მიერ მიღებულად.</p> <p>7.4. მხარეები თანხმდებიან, რომ გამონაკლისის გარეშე ნებისმიერი საქმიანი კორესპოდენცია, რომელიც გაგზავნილი იქნება წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული ელ-ფოსტიდან, წარმოადგენს მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის მხრიდან ჯეროვნად გაგზავნილ კორესპონდენციას და ორივე მხარისათვის აქვს შესაბამისი სავალდებულო ძალა. მხარეები ვალდებულია იღებენ დაუყონებლივ აცნობონ ერთმანეთს მათ ელ-ფოსტასთან არასანქცირებული წვდომის თაობაზე. აღნიშნულის შეტყობინების არ არსებობა, ართმევს მეორე მხარეს უფლებას მიუთითოს მესამე პირის მიერ მის ელ-ფოსტაზე არასანქცირებულ წვდომაზე.</p>	<p>7. Обмен информацией и уведомления</p> <p>7.1. Стороны согласуются, что коммуникация между ними осуществляется посредством письменной, устной, эл. почты или других технических средств.</p> <p>7.2. Стороны обязаны немедленно сообщать друг другу об изменении реквизитов, указанных в договоре. В случае не уведомленные любая информация считается действительным, и отправленная информация считается доставленным стороне.</p> <p>7.3. Стороны согласуются, что уведомление, отправленное на эл. почту для контактных лиц и/или на официальную почту сторон имеет юридическую силу, в случае подтверждения эл-почты со стороны второй стороны. В случае, если другая сторона не подтвердит получение уведомления в течение 1 рабочего дня после отправки уведомления стороной, уведомление считается полученным.</p> <p>7.4. Стороны признают, что любая без исключения деловая корреспонденция, отправленная с адресов электронной почты, указанных в настоящем договоре, является исходящей от надлежащим образом уполномоченных представителей сторон и имеет обязательную для обеих сторон силу. Стороны обязуются незамедлительно сообщать друг другу обо всех случаях несанкционированного доступа к их электронным ящикам. Исполнение, произведенное стороной договора в отсутствие у нее такого уведомления, признается надлежащим и лишает вторую сторону права ссылаться на указанные обстоятельства.</p>
<p>8. პერსონალური მონაცემები</p> <p>8.1. წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერით შემსრულებელი, როგორც ხელშეკრულებით მხარე, დამკვეთს ანიჭებს უფლებამოსილებას სახელშეკრულებო ურთიერთობის გამართულად წარმართვის მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად, საჭირო მოცულობით მოიპოვოს, შეაგროვოს, შეინახოს და დაამუშავოს მისი პერსონალური მონაცემები.</p> <p>8.2. შემსრულებელი ანიჭებს დამკვეთს უფლებამოსილებას, რომ შემსრულებლის მიერ მოწოდებული პერსონალური მონაცემები დამუშავდეს ისეთი მიზნებისთვის, როგორცაა: (1) ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა, (2) ხარისხისა და რისკის მართვის შემოწმებები, (3) მომსახურების სპექტრის შესახებ ინფორმაციის მოწოდება, მათ შორის ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით, (4) დავა და სამართალწარმოება, (5) კანონმდებლობის ან რეგულაციის მოთხოვნებთან შესაბამისობა და კანონმდებლობითა და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა შემთხვევები.</p> <p>8.3. შემსრულებელი აცხადებს, რომ თანახმაა მისი პერსონალური მონაცემები გამოყენებულ იქნას მომხმარებელთა ბაზაში დარეგისტრირების მიზნით, დამკვეთის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციით განსაზღვრული ვადით ან იმ ვადადღე, სანამ იგი შემსრულებლის მხრიდან არ მიიღებს სხვაგვარ მითითებას.</p> <p>8.4. შემსრულებელისათვის ცნობილია, რომ მას ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს ინფორმაცია დამკვეთთან არსებული მისი</p>	<p>8. Персональные данные</p> <p>8.1. С подписанием данного документа, Исполнитель уполномочивает Заказчика с целью надлежащего осуществления договорных отношений, получать, собирать, хранить и обрабатывать его личные данные для достижения вышеуказанной цели.</p> <p>8.2. Исполнитель предоставляет Заказчику право обрабатывать персональные данные, предоставленные Исполнителем, для следующих целей: (1) предоставление услуги по договору; (2) проверки качества и управления рисками, (3) предоставление Сублицензиату информацию о спектре услуг, в том числе в электронном виде; (4) спор и судебный процесс, (5) соблюдение требований закона или регуляции, и другие случаи, определенные законодательством и данным договором.</p> <p>8.3. Исполнитель соглашается Заказчику использовать свои персональные данные для регистрации в Базе данных клиентов в течение периода, указанного во внутренней нормативной документации Заказчика, или до тех пор, пока Заказчик не получит другую ссылку от Исполнителя.</p> <p>8.4. Исполнитель осведомлен о том, что он может в любое время запросить информацию о своих личных данных от Заказчика, а также потребовать их исправления, обновления, добавления, блокировки, удаления и уничтожения. Также в любой момент отозвать свое согласие на основании письменного заявления в соответствии с правилами, установленными законодательством Грузии.</p>

<p>პერსონალური მონაცემების თაობაზე, ასევე მოითხოვოს მათი გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა და განადგურება. აგრეთვე, გამოიხმოს მისი თანხმობა, ნებისმიერ დროს, წერილობითი განცხადების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად.</p>	
<p style="text-align: center;">9. სხვა დებულებები</p> <p>9.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლი ხორციელდება დამკვეთის მიერ შემოწმებების საფუძველზე (დამკვეთის გადაწყვეტილებიდან გამომდინარე).</p> <p>9.2. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მისი ხელმოწერის მომენტთან, რომელიც ემთხვევა წინამდებარე ხელშეკრულების თავსართში მითითებულ თარიღს და მოქმედებს ვალდებულების სრულად შესრულებამდე. წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა ან/და მოშლა არ უკარგავს მხარეებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლებას.</p> <p>9.3. წინამდებარე ხელშეკრულების არცერთი მხარე არ არის უფლებამოსილი გადასცეს, წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში, ნაკისრი უფლებები ან მოვალეობები ნებისმიერ მესამე მხარეს, მეორე მხარისგან წინასწარი წერილობითი თანხმობის მიღების გარეშე.</p> <p>9.4. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ და რუსულ ენებზე. თითოეული ეგზემპლარი გადაეცემა თითოეულ მხარეს. წინამდებარე ხელშეკრულების ტექსტებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, თარგმანის სირთულეებიდან გამომდინარე, უპირატესობა მიენიჭება ხელშეკრულების ტექსტს, რომელიც შედგენილია ქართულ ენაზე.</p> <p>9.5. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე დამატებითი ხელშეკრულებები/სხვა სამართლებრივი დოკუმენტები, რომლებიც დამოწმებულია მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერებით და ბეჭდით, წარმოადგენენ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.</p>	<p style="text-align: center;">9.Иные условия</p> <p>9.1.Контроль за выполнением условий данного договора происходит путем проведения проверок (по усмотрению Заказчика).</p> <p>9.2.Настоящий договор вступает в силу с даты подписания уполномоченными представителями сторон. Датой подписания данного договора является дата, указанная в заголовке данного договора. Данный договор действует до полного выполнения договора. Прекращение и / или расторжение действия данного договора не лишает стороны права требовать от второй стороны выполнение обязательств по данному договору.</p> <p>9.3.Ни одна из сторон не имеет права передавать свои права и обязанности по настоящему Договору третьим лицам без письменного согласия на то другой стороны.</p> <p>9.4.Настоящий Договор составлен в двух экземплярах, по одному экземпляру для каждой из сторон, на русском и грузинском языках, причем оба текста аутентичны и имеют одинаковую юридическую силу. В случае разночтений, связанных с трудностью перевода Стороны, устанавливают приоритет текста договора, изложенного на грузинском языке.</p> <p>9.5.Дополнительные соглашения/другие правовые документы к данному Договору, подписанные уполномоченными представителями сторон и скрепленные печатью, являются неотъемлемой частью Договора.</p>
<p>დამკვეთი: შპს „ლუკოილ-ჯორჯია“ მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, გოთუას ქუჩის მიმდებარე ტერიტორია საიდენტიფიკაციო კოდი: 204976302</p> <p>ა/ნ: GE88TB1100000035467729</p> <p>დირექტორი _____ მიხაილო ჯუროვიჩი</p> <p>შემსრულებელი: [-] მისამართი: [-] საიდენტიფიკაციო კოდი: [-]</p> <p>ანგარიშის №: [-]</p> <p>დირექტორი _____ [-]</p>	<p>Заказчик: ООО “ЛУКОЙЛ-Джорджия” Адрес: Грузия, г. Тбилиси, Район Сабуртало, Правая набережная р. Куры, прилегающая к ул. Готуа территория Идентификационный код: 204976302</p> <p>№ счёта: GE88TB1100000035467729</p> <p>Директор _____ Михайло Джурович</p> <p>Исполнитель: [-] Адрес: [-] Идентификационный код: [-]</p> <p>№ Счёта: [-]</p> <p>Директор _____ [-]</p>